საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიის და მენეჯმენტის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ტელემედია, თეორია და პრაქტიკა“ მოდულის „ტელეჟურნალისტიკა“ სტუდენტთა

განხილული და მიღებულია ჰუმანიტარულ,
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და მართვის
ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი # 5. (15. 04. 2011)
ცვლილებები განხილულია სახელოვნებო მეცნიერებების
მედიის და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბჭოზე ოქმი N.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები
(გარდამავალი დებულება)

მოდულისთვის „ტელეჟურნალისტიკა“ სამაგისტრო ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან – პრაქტიკული სამუშაო (ტელე, რადიო გადაცემა ან მულტიმედიური აუდიო-ვიზუალური პროექტი) და თეორიული (კვლევითი) ნაშრომი.

1. მოთხოვნები

1. პრაქტიკული სამუშაო (ტელე ან რადიო გადაცემა – ქრონომეტრაჟი 20-30 წთ. გადაცემის ფორმატი და ჟანრი არ არის შეზღუდული, ან მულტიმედიური აუდიოვიზულაუირ პროექტი)

2. თეორიული (კვლევითი) ნაშრომი

სტანდარტი:

ა) გვერდების რაოდენობა – 40-50 გვ., ფორმატი 4.

ბ) წერითი ნაშრომის შესრულება უნდა მოხდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტების მიხედვით

(აკადემიური საბჭოს დადგენილება **2010** წლის **20** დეკემბერი, ოქმი **5**, ცვლილებები განხილილია ჰუმნიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა
და მართვის ფაკულტეტის საბჭოზე **27. 02. 2017.** ოქმი **#5**
დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე **23.03. 2017.**ოქმი **#11.)**
თეორიული (კვლევითი) ნაშრომი უნდა ასახავდეს სტუდენტის მიერ მომზადებული პროექტის თემატიკის სიახლეს, აქტუალობას, მიზნებს, ამოცანებს და წარმოებულს კვლევებს.

2. შეფასება

- თემის სიახლე და მნიშვნელობა - 10 ქულა
- დასმული პრობლემის სრულყოფილად და გასაგებად ჩვენების უნარი - 10 ქულა
- მასალის ფლობა და ანალიზის უნარი -10 ქულა
- წერის კულტურა, ციტირება, სქოლიოები - 5 ქულა
- ნაშრომის გაფორმება (ბიბლიოგრაფია, მინდორი, ინტერვალები, ფრაზების, ქვეთავების ხაზგასმა-გამოყოფა, პუნქტუაცია, აბრევიატურები, სარჩევი, თავფურცელი) - 5 ქულა
- პრაქტიკულ ნამუშევარში ვიზუალურ თხრობის კულტურა - 10 ქულა
- აუდიო-ვიზუალური მასალის ხარისხი - 5 ქულა
- პრაქტიკულ ნამუშევარში სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული, ორიგინალური აუდიო-ვიზუალური მასალის წილი - 15 ქულა

პრეზენტაცია - 30 ქულა

- ზეპირი პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა
- კამათისა და დაცვის უნარი - 10 ქულა
- საპრეზენტაციო ტექნოლოგიის ფლობა -10 ქულა